ბრძანება:**ბ11. 4424079001**
თარიღი:**19/03/2024**

ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისები“–ს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ა/ა/იპ „სპეციალურ სერვისები“–ს საწარმოს ეკონომიკური ინტერესებისა და საქმიანობის სრულყოფილების მიზნით ვიხელმძღვანელე რა ა/ა/იპ „სპეციალური სერვისები“–ს წესდების მე–5 მუხლის მე–2 ნაწილის „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით მინიჭებული უფლებებით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წლის 25 იანვრით Nბ44.44240251 გამოცემული ბრძანები მე–3 მუხლის 22–ე პუნქტის და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2024 წლის 14 მარტით გაცემული სასაქონლო ექსპერტიზის № 5001511624 დასკვნის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ა/ა/იპ „სპეციალურ სერვისები“–ს საწარმოს ეკონომიკური ინტერესებისა და საქმიანობის სრულყოფილების მიზნით საწარმოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ნარჩენების ბრიკეტირებისათვის განკუთვნილი ვერტიკალური ჰიდრავლიკური წნეხის მეშვეობით, /გამოყენებით/ მიღებული პროდუქციის რეალიზაცია განხორციელდეს საჯარო აუქციონის მეშვეობით.

2. საჯარო აუქციონის გამოცხადების დროს გათვალისწინებული იქნეს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2024 წლის 14 მარტით გაცემული სასაქონლო ექსპერტიზის №5001511624 დასკვნით განსაზღვრული 1 კგ მუყაოს საბაზრო ღირებულება.

3. ბრძანებაზე კონტროლი და შესრულება, კერძოდ საჯარო აუქციონზე გამოსატანი მზა პროდუქციის ოდენობის განსაზღვრა და გამარჯვებულ მხარესთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმება დაევალოს საწარმოს დირექტორის მოადგილეს ფინანსურ საკითხებში ბატონ კახაბერ ბოჭორიშვილს და ამავე საწარმოს შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს გია ბენიძეს.

4. ბრძანების შინაარსი გაეცნოს დაინტერესებულ პირებს კანონით დადგენილი წესით და ვადებში.

5. ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 13 მარტიდან.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველო, 4600, ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. N55, ტელ: (+0431) 29 87 70;
ელ-ფოსტა: specialservices@kutaisi.gov.ge; ს/ნ: 412704612
N 55. ST. AVTOMSHENEBELI. KUTAISI. GEORGIA, 4600. TEL: (+0431) 29 87 70;
E-MAIL: specialservices@kutaisi.gov.ge; I/N: 412704612

თენგიზ არსენიძე

სპეციალური სერვისები-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი